ტექნიკა – ტაქტიკის სამსახურში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “პახტაკორი” (ტაშკენტი) 4:1 (3:0).

“პახტაკორი”: კლიმოვი, აზიზხოჯაევი, კოზენკოვი, სუიუნოვი, ტაჯიროვი, იუსუპოვი, ტიმოხინი, სტადნიკი, მოტორინი (სიმონოვი), კრასნიცკი, ფეოფანოვი.

“დინამო”: კვაჭაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ლ. სარქისოვი (სოჭი).

ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის წელს ძალთა ნამდვილი გადაფასება მოხდა. როგორც იტყვიან, “უკანანი წინა და წინანი უკანო”. აი, მაგალითად, ტაშკენტის “პახტაკორი”, წარსულში ეს იყო “ბ” კლასის ერთ-ერთი შეუმჩნეველი გუნდი, რომელიც წლების მანძილზე საშუალო შედეგებს აღწევდა “მეორე ეშელონში” და რომლის გადმოყვანა “ა” კლასში შარშან გაუთავებელი დავისა და პოლემიკის საგნად იყო ქცეული.

და აი წელს “პახტაკორი” თამაშობს უძლიერესთა შორის და თავისი მაჩვენებლებით ბევრად არავის ჩამოუვარდება. ყოველ შემთხვევაში, მისი ფრე მოსკოვის “დინამოსთან” მოწინააღმდეგის მინდორზე, მაშინ, როცა ჩემპიონს ქულები ჰაერივით სჭირდებოდა, ყველაზე უკეთესი ატესტაციაა ტაშკენტელთათვის.

მაგრამ საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ “პახტაკორი” მიმდინარე ჩემპიონატში დამაკმაყოფილებლად თამაშობს. 26 მაისის მატჩში თბილისელმა მაყურებელმა სტუმრების რიგებში იხილა რამდენიმე კარგი მოთამაშე, რომელთა შორის ორი ნამდვილად შესანიშნავი ფეხბურთელია, ფეხბურთელი, რომლის თამაშის ცქერა წმინდა სპორტულ სიამოვნებას ჰგვრის გულშემატკივარს.

ლაპარაკია “პახტაკორის” შუამარბების სტადნიკისა (N8) და განსაკუთრებით კრასნიცკის (N10) შესახებ. საუკეთესო ფიზიკური მონაცემების მქონე ეს ორივე ფორვარდი ბასრი მახვილივით იყო შეჭრილი “დინამოს” დაცვაში და მთელი თამაშის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა მეკარესა და მცველებს. სხვა ყველაფრის გარდა, კრასნიცკის აქვს დახვეწილი ტექნიკა, საშინელი ძალის დარტყმა და დაუშრეტელი ენერგია, რომლის წყალობითაც იგი თითქმის ყოველგვარ სიტუაციაში სახიფათოა კარისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, “დინამოს” ნახევარდაცვამ სწორად არ ითამაშა ამ შუამარბების წინააღმდეგ. აშკარად ეტყობა, რომ იამანიძე თანდათან შედის ფორმაში და კვლავინდებურად მრისხანე ძალას წარმოადგენს.

“ლელო”, 29 მაისი, 1960 წ.